ალმანახი

№ 1.

ფარფალაკები

რედაქცია იმყოფება ქ. ქუთაისში, ფერმის ქუჩაზე, იოსებ ქავჟარაძე[illegible]

რედაქციისაგან:

ვაცხადებთ საყოველთაოთ, რომ ჩვენს რედაქციას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც „მერცხლის" რედაქციასთან და არც „იმერეთთან" გარდა გამარჯობა —გაგიმარჯოსი.

ლილას მამა მოუკვდა—აპეკუნი სჭირია.

11598

Библиотека-Музей
Акад. Н. Гришашвили
Академия наук Г.

ქ. ქუთაისი.

ბევრჯერ გამიგონია „ჭეშმარიტ ქართველთა ბაგედან“ თბილისი სომხებს დარჩა და ქუთაისი კი ებრაელებსო. ბევრჯერ ამომიკითხავს მათვე ორგანოებში ამგვარი გადარტყმული მათრახები და რა საკვირველია, მეც ვეთანხმები, რომ ეს სინამდვილეა, თბილისი და ქუთაისი ფაკტიურათ მათ ხელშია, მაგრამ განა მათი ბრალია? ამაში თვით ჩვენ ქართველებს მიგიძღვის დანაშაულობა. ჩვენ ვაჭრობ-მრეწველობას გაურბივართ და ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ დღეს კაპიტალისტური ხანაა და ყოველივე კამერციის განვითარებაზეა დამყარებული, ჩვენ ვერ შეგვიგნია. ქართველ „ინტელიგენციას“ ვაჭრობა-მრეწველობა სასირცხოთ მიიჩნია და რიხიანათ კი გაყვირიან: სამშობლო განსაცდელშია, უცხოელების ხელში გადავიდა ჩვენი მიწა-წყალი; ეს კი ვერ გამიგია, რითი შეიძლება შველა, ნუ თუ ხმალ-ხანჯლით თუ ზარბაზნებით შეიძლება დაბრუნება იმ ჩვენი სიმდიდრისა, რომელიც სომხების, ებრაელების და ან უცხოელების ხელში გადავიდა? არა, ბატონებო, ჩვენ ამ მხრით ვერ გავიტანთ ლელოს, საჭიროა ყველამ თვალი გავახილოთ და ჩავებათ კომერციაში. ჩვენი საქართველო მდიდარია ბუნებით და ბევრი სიმდიდრეა ჩვენში. მხოლოდ საჭიროა მისი დამუშავება.

არ კმარა ბატონებო, კლუბებში მარტო იმის ძახილი- სამშობლო, სამშობლო და სამშობლო — როგორც ამას ჩვენი ,,პატრიოტები'' სიმთვრალის დროს გაიძახიან. არ კმარა, ბატონებო, მარტო სასტუმროებში არალალას ძახილით შეიარაღება. მუდამ გახსოვდეთ უკვდავი მგოსნის ბარათაშვილის სიტყვები ,,იქ, სადაც წინათ ხმლით და ხანჯლით ფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი“.

არ კმარა ბატონებო მარტო ბულვარის ტკეპნა, არ კმარა, ბატონებო, მარტო ქალების კუდში დევა... დასასრულ კიდევ ვიმეორებ თუ გვინდა სამშობლო მიწა-წყა შეგვრჩეს, ჩავებათ ვაჭრობა-მრეწველობაში, შევადგინოთ ამხანაგობა. აი ამ გზით შეიძლება დანაკარგის უკანვე დაბრუნება და მეტის შეძენაც... ვეცდები ბატონებო უფრო ვრცლათ სერიოზულ გაზეთში მოვათავსო ამ საკითხზე წერილი.

ლილა.

ცხელ-ცხელი ამბები.

ღმერთი, რჯული, სატანა და ჯოჯოხეთი, რომ ცხელ-ცხელ ამბების წერას, ბევრათ ცხელ-ცხელი წვადის ჭამა მირჩევნია, მაგრამ რას იზამ კაცს რომ წერა არ მოუსვენებს და წერის საღერღელი აეშლება ხოლმე. სული არ წაიწყმიდოთ და არ იფიქროთ, რომ ჭამის საღერღელიც არ მქონდეს აშლილი, მაგრამ რაკი საფანელი არ არის, რაკი არ ძალმიძს კუჭის მოთხოვნილება დავაკმაყოფილო, ამისათვის ციც მეთქი ვეუბნები და ისევ წერის საღერღელს ვაკმაყოფილებ. მინდა ზოგიერთი ცხელი ამბავი, რაც ცხლათ ესმა ჩემ ყურს, არ გავაცივო და ისე ცხლათ მოუთხრა სხვებსაც. მაშ აღახვენით ყურნი თქვენნი და განემზადენით სმენად.

კვიმატი წელიწადის კვიმატობა მის პირველ თვეში.

ძიძგი, ძიძგი მამალო,
წაქცეული დაკალო!

„სამეგრელოს განაპირი ფოთია და ჭალადიდი“, ფოთის გმირებიც დავობენ იმაზე, თუ რომელს შეუძლია..... ჭამა დიდი... მოგეხსენებათ ქ. ფოთს ვიყიყიყათ დიდი ნიკო ყავდა, ვაყაყაყათ კი იონა. იყვნენ ეს ორი პატივცემულნი პირნი ტკბილად და მეგობრულად, ერთი თუ გარეთ საქმეს არიგებდა, მეორე შინ ოჯახობდა, შინაურ საქმეს განაგებდა... კაი ხანს ცხოვრებდა ორივე ერთი მეორის სრული პატივისცემით და თავაზით. ერთი მეორეს აქებდენ „ებნითა და წინწილითა“ და მოითხოვდენ, რომ ყოველნი სულნი აქებდეს მათ“. იონა, რომელსაც ყველა ქართველი მოღვაწის ბიოგრაფია დასაწერად აქვს იჯარით აღებული, ემზადებოდა ნიკოს ბიოგრაფიის დასაწერად, „კბილს უთვლიდა“, მისი ნაბიჯის გადადგმას იწერდა, ყოველივე მის ნათქვამს ,,დაუწერელ'' დღიურში დაუწერელად აღნიშნავდა... და აჰ, სულ რაღაც უბრალოზე, მათ შორისაც შავმა კატამ გაირბინა, იმ წყეულმა კატუნიამ, რომელსაც, თუ იონას დაუჯერებთ, „პენსიაჩკა“ ეწოდებოდა, ორი მეგობარი სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაკიდა. იონამაც, რაც „მუცელსა შინა გველეშაპისა“ ენახა, ყველა „იმე-

რეთში“ გადმოალაგა. საწყალი ნიკო! სანამ მისი დარი დარობდა და იონა სწყალობდა, მანამ კაი ბიჭი იყო, იონაც გუნდრუკს უკმევდა, ყველაფერზე ბალი აღას ეუბნებოდა, მისკენ ცივ ბორიას არ აკარებდა, ახლა კი, რაკი ნიკოს იონა ქალაქის თავათ არ უნდა, ნიკოც დააბეზღა მილიუკოვს, როდიჩევს, გეგეჭკორს და ერთი სიტყვით ყველას. საწყალი ნიკო... მაგრამ საწყალი იონაც! თუ საქმისთვის გული შესტკიოდა სად იყო მანამდე, სანამ „მაზოლზე“ ფეხი არ დააჭირეს? ახლანდელი მისი „რაზობლაჩენიე“ წაგებული ომის შემდეგ ფარხმალის ფერვაა და მეტი არაფერი.

* * *

„ვახ შენ ჩემო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო“,

სულ სხვაა ქუთაისი, ქუთაისსაც ეავდა ქალაქის საბჭოს წევრი ამოსარჩევი, მაგრამ ქვეყანა არ გადაუბრუნებიათ, მკვდარი და ცოცხალი ერთი მეორისთვის არავის უხსენებია, საქმე ქუთათურათ მოაკვარახჭინეს, არც წვადი დაწვეს და არც შამფური, ერთი სროლით ორი კურდღელი მოჰკლეს და მესამეს საცაა ხელდახელ დაიჭერენ. თუმც ასეთ მოხერხებულ ნადირობას 7 თვეს მოუნდენ მაგრამ დრო იქ რა სათქმელია თუ მიზანი მიხწეულია. მიზანი კი რომ მიხწეულია, ამაში ეჭვი აღარ არის. ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ ქუთაისის ქალაქის საბჭოს მიათხოვა მასწავლებელი ქვარიანი, მაყრებათ იყვნენ: სოლ. მიქელაძე და ხმოსანი იურისტები, შვამავალ-მდადეთ-ოცხელი.

მზითევი ქალაქმა უნდა გამოუწყოს წელიწადში 2100 მან. ამ გათხოვით გიმნაზიამ, მართალია, დაკარგა ერთი უბადლო პედაგოგი-„მამულიშვილი“, მაგრამ ამ დაკარგვას ის როგორც იქნება გაუძლებს, რადგან ერთ „მამულიშვილს“ ახალ თბილ ადგილს მისცემს. ამრიგად ქვარიანი გიმნაზიას მოშორდება, ეს ერთი კურდღელი. ქვარიანი ქალაქის საბჭოს წევრი იქნება, ეს მეორე კურდღელი. რომელიმე ,,მამულიშვილს'' ვაკანსია გაეხსნება, ეს მესამე კურდღელი. ყველაზე მეტათ აქ მოგებული იქნება ქალაქის საბჭო, რადგან ერთი ევროპიულად განსწავლული ყველაფერში ,,გამოიმასქნილებული'' ,,მამულიშვილი'' ,,მამულის შვილურად'' საბჭოში დაიბუდრებს...

ლაილაი.

კრიტიკული განხილვა ,,მეცნიერულ'' ნაწარმოებისა: ბროშიურა ,,ვაჭარი და კარტის თამაში''-ს. ჰეტრე სააკაშვილისა.

(გამოცემა დ. ბაქრაძისა).

ბროშიურა „ვაჭარი და კარტის თამაში“ მეცნიერული თვალთახედვის ისრით რომ გავაკრიტიკოთ და სიმართლით შევხედოთ ამ ნაოფლარ, ნაოხარ, ნატვინებ და საგოდრე ნაწარმოებს საკრიტიკოსო ვერასა ვნახავთ. ნაწარმოები შინაარსიანია და თითქმის დადებითი მხარეები აქვს გარდა ზოგიერთ ქვემოთ ჩამოთვლილ უარყოფით მხარეებისა, რომელთაც არც კი ეთქმის კრიტიკა. 1) ქართული ენის სიკოჭლე, 2) ტვინის ქიქინის დროსა შედგენილი. 3) ნიშნები, ე. ი. მძიმეები სრულებით საჭიროთ არ უცვნია ავტორს. 4) მარტო თავის პროფესიის (ვაჭრებს) ხალხს არიგებს ჭკუაზე: ,,კარტის თამაში სინიდისიერ ვაჭარს არ ეკადრებაო; დანარჩენ საზოგადოებას კი ავტორის აზრით ეება ეძლევა ითამაშოს კარტი. (ესეც კარგი წყალობაა) 5). თვით ბროშიურა ნამეტანი იაფია, ერთი ფურცელი (თაბახი) ღირს 5 კაპეიკი. (ვაჭრული ანგარიშია), მაგრამ მავნე ენები კი ავრცელებენ ხმას ვითომც ძვირი იყოს ეს ბროშიურა. არა ბატონო მკითხველო! ზოგიერთთ შეშურთ „ჩვენი მეცნიერის დიდება და ქება და ამიტომაც ამ შეუსაბამო ხმებს ავრცელებენ. ,,ჩემო პენტე მეცნიერო''! დადგება დრო, დადგება ის დიადი ხანა, როცა შენ ბროშიურას დაედება ფასი, თუ დღეს ღირს 5 კაპ. მაშინ ეღირება 5 მანეთი. დღეს კი დავტირი შენს ბროშიურას, დავტირი გამომცემელს ბ. დ. ბაქრაძეს (წიგნების დამტარებელია), რომლის ტვინი, როგორც ხმა დადის, შენებრ ჩემო პენტე, დიოგენის ტვინის ,,კუსოკია''. დასრულ გისურვებ ჩემო პენტე ,,მეცნიერო'', ნუ მოგვიშალოს შენი მეცნიერული ბროშიურები შენი მეცნიერული ვედრები, ბოქლომები, ლურსმები და მასთან შენი ტვინის გამმაგრებელი ვინტები არ მოფამფულიყოს.

დავშთები მარად პატივისმცემელი შენი ბროშიურისა.

ლილა.

ლილის ვიზიტები.

(ახალ წელიწად დღეს).

საათის თერთმეტი იქნებოდა პირველი ვიზიტი გავუკეთე ეპარხიალურ სასწავლებელს. მოსწავლეები უკვე თავს იყრიდენ, რომ მოესმინათ ახალწლის შეხვედრის წირვა. ამ მოსწავლე ახალგაზდებში შევნიშნე ერთი თოთხმეტ-თუთხმეტი წლის მოწაფე ვაჟი. ქუდი გვერდზე მოეგდო, ქამარი წელზე ისე მაგრად მოეჭირნა, რომ სულთქმა უჭირდებოდა, გულზე ორი ბრჭყვიალა „პლასტინკები“ ზედ რაღაც წარწერით ეკიდა, ფეხებზე უძირო წაღები ჩაეცვა (გეგონებოდა ლეკურის ცეკვის მასწავლებელიაო). ყველაზე უფრო იმ პლასტინკებით დავინტერესდი და იმ ზომამდე მიმიყვანა ცნობისმოყვარეობამ, რომ გავბედე კითხვა (თუმცა გული მიკანკალებდა, ერთი არ მთქვიფოს ამ მელოტ თავში მეთქი), თუ ვინ უთავაზა ამ მოდნი მოწაფეს ეს „პლასტინკები“. ააშენოს აკატუშ-ბარუხამ იმის ოჯახი, გულმოუსვლელად შემხვდა და კიდევაც ჩემი ცნობის მოყვარეობა დააკმაყოფილა. მითხრა: „მე ორი „სოპერნიცა“ მყავს. მე მათ ორივეს უყვარვარ, მათ გამომიგზავნეს და მეც, რასაკვირველია, ორივე მიყვარან და ორივეს გულით ვატარებო“. ამის თქმი გაათავა თუ არა, გამოუარეს წითლოსნებმა—თორმეტ-ცამეტი წლის ბარიშნებმა და მოაძახეს ,,დუშკაო‘‘, ზოგმა ,,დუშეჩკა‘‘, ზოგმა გვრიტი, მარგალიტი და რით არ მონათლეს ეს ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა ბაღანა. მაშინ კი ვთქვი: კიდევ კარგი, რომ მამა ჩემმა სწავლა არ მომცა, თორემ, ვინ იცის, მასწავლებელთა პროფესიაში ამომეყო თავი და, იცოცხლე, მე დღეს დამაყენებდენ მოწაფეები. ისეთ გამხდიდენ, როგორც სათ.-აზ. ზურნა-დარაბანდი. ღმერთს მადლობა გადავუხადე და მამა ჩემიც იმდენი ვლოცე, ვგონებ არას დროს აღარ მოკვდეს. (თუმცა ამაში კი შევცდი, თუ არ მოკვდა, როდისღა მეღირსება მისი დატოვებული ფულებით ვიფრფაშო?).

მოწაფესთან ბოდიში მოვიხადე ასეთი ,,ნახალობიზა‘‘ და წამოვედი. მოვაღწიე თუ არა გიმნაზიასთან შეიქნა ზარების რეკა. გაიღო გიმნაზიის კარები თუ არა და იგრიალა ხალხმა. მეც, რასაკვირველია, ვტუცე თავი, მაგრამ უკეთესი ჩემს ორ თვალებს არა უნახავთ რა. თუ სადმე სილამაზის ღმერთები კი ყოფილან ყველას აქ მოეყარა თავი, რომ მათზედ ელოცნათ ხატების მაგივრათ, და ისე გამიტაცა და მომაჯადოვა მათმა ყურებამ, რომ სულ დამავიწყდა ახალი წლის წირვა-ლოცვა, თვით ახალი წელიც, ცოდვაც და მადლიც. როცა იქნა მოვედი გონს და მაშვინ კი მივხვდი, რომ დიდი დანაშაულობა ჩავიდინე ღმერთის წინაშე. შევიბრუნე თავი, თუმცა ეს ოხერი თვალები ამ კეკლუცებისკენ მეზიდებოდენ. ბევრი ვიფურთხე ფუ! ეშმაკს! მეთქი, მარა არაფერი გამივიდა. თავში მაინც ვიღაცეები მაგნიტური ძალით მეწიკებოდენ. დამძლიეს ეშმაკებმა და აკი მივუახლოვდი ერთ ამათგანს! შევხედე მარა, რას შევხედე! ისეთ გასწითლებოდა ლოყები, როგორც თურაშაული ვაშლი, გულმკერდი მოღვავებულ-მოღეღილი (დეკოლტეს რომ ეძახიან), ძუძუები ისეთ ჰქონდა ჩაფუნთრუშებული, გეგონებოდათ ნამდვილ ,,როქეს‘‘ საბერველით დაუბერვიათო, როგორც იქნა კიდევაც გავიცანი. ვკითხე: რატომ მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში არ წაბრძანებულხართ-მეთქი?

— ,,ამიტომ... რომ... იქ... ამოდენა‘‘... სიტყვა ველარ დაათავა, მკერდი აუტოკდა, ვიღაც პატარა მოწაფე მოვიდა, რაღაცა ჩაუფურჩულა და ხელიდან გამომაცალა ეს ვეებერთელა დედაკაცი და დავრჩი პირღია. მაშვინ კი მივხვდი თუ რას ნიშნავდა სიტყვა „ამოდენა“. დავღონდი, რას ვიქმოდი, გამოვედი აქედანაც და როგორც კი მიუახლოვდი ქალების გიმნაზიას, შემხვდა ცნობილი მაშო. მივესალმე მოწიწებით, რადგან საშიში პიროვნებაა. მივულოცე ახალი წელი და ჩაურითმ-ჩაულექსე:

ახალწელსა მოგილოცავ,
ჩვენო კარგო, ჩვენო მაშო!
გისურვებ, რომ ქუთაისში,
როგორც გსურდეს იფარფაშო.

გაეხარდა, მადლობა მითხრა, მაგრამ შამომჩივლა: ორმოცდა თორმეტი კვირაა ნერვები სულ აშლილი მაქვს და ეგებ დასაწყნარებელი წამალი იცოდე რამეო. მეც ვასწავლე: $1^1/_2$ გირვ. სტრიხნინა უნდა დალიო-მეთქი და ისე დაგიწყნარდება ნერვები, რომ მის დღეში აღარ აგეშლება მეთქი.

გაიხარა, ორი ფუთი მადლობა მითხრა და

გნაცელა ტიფლის. ამას როგორც იქნა რაკი დავახწიე თავი და მარცხი არ მომივიდა (თუმც ახლაც კი მაკანკალებს), გავიქეცი სახლში, შევწექი ლოგინსა შინა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ძილი მე არ მომკიდებოდეს თვალებზე, სულ მაშო მელანდებოდა. ამ ვაი ვაგლახში გავატარე მთელი ღამე. დილა გათენდა თუ არა, გადვიწერე პირჯვარი და დავანთე ეზოში დიდი ცეცხლი, დავიძახე ,,ჯარური'' კუდიანებსა მეთქი, ვისკუპე და გადავახტი ცეცხლს სამჯერ და რავარც იქნა დამიწყნარდა გული. შეუდექი დილას ვიზიტებს. პირველად შეუდექი კოზამიანის მთას. პირველი ვიზიტი შანტეკლერს გაუკეთე. გამოიჭუჭუტანა კარებში და როგორც კი შემომხედა უფორმო კოსტიუმზე, მაშინვე მიიბრუნა პირი და ჭუჭუტანიდანაც ველარ გავხდი ღირსი მეცქირნა ამ მშვენიერ არსებისთვის. დავაღე ხახა, გამოვბრუნდი გულდაწყვეტილი. რას ვიზამდი! ახია ჩემზედ, რა მიმარბენინებდა შენი ჭირიმე, ან და მე სულელმა რატომ არ ვიშოვე მხრებზე სირმა დატყეპებული ტანისამოსი? არ მომეგებებოდა კი არა და მგონებ სულ შამპანიურებს ჩამაყლურჭიებდა ყლორჭსა შინა. ასე გულდაწყვეტილი დავეშვი ჩემს კაბინეტში სავარძელსა შინა და დღესაც გონს ვერ მოვსულვარ თუ რა დამემართა. ღმერთმა გაშოროს მკითხველო შანტეკლერიანი ქალის დაახლოვებას, უეჭველათ წირვა გამოგივა.

ლილა.

ახალი ამბები.

კონცესიონერის გადაწყვეტილება: თავადს დადიანს გადაუწყვეტია პროექტით ასვას წყალი ქუთაისს, ვინაიდგან ეს უფრო გიგიენურია, რადგან პროექტს ბაცილები არ გაუჩნდება და მოტყუილება კიდე, ხოლერას ვერ გააჩენს.

✦ ლურჯოსნები გვატყობინებენ, რომ ნინოობას გამართულ საღამოზე დაურიგებიათ 158,000 წერილი აგებული რომანიულ ნიადაგზე.

✦ 8 იანვარს ბულვარის „ტროტუარზე" მოხდა ბრძოლა რამოდენიმე სტუდენტებსა და გიმნაზიელებს შორის. კიდევ კარგი, რომ კეკლუცები ჩაერივნენ და გააშველეს, თორემ მგონი მთელი ბალკანეთის ჯარები რომ დაჰრეოდა ვერ გააშველებდა.

✦ როგორც აღნიშნული გვქონდა ლილის 1 №-ში, დუელი როქესა და თავადიშვილს შორის მოხდა 26 იანვარს არა ათ საათზე, არამედ ორის 5 წამზე, საკრებულო დარბაზში სეკუნდანტების თანდასწრებით. როქემ მოასწრო თავადიშვილს ხმლის მოქნევა და ისე ვაჟკაცურად მოუქნია რომ, თავადიშვილიც დასჭრა და თავის სეკუნდანტს ანსელოს უცაბედათ ცხვირის ნაწილი ჩამოაცალა. ჭრილობა არც ერთის არ არის საშიში, ამ რიგათ გამარჯვება როქეს დარჩა.

✦ როგორც გავიგეთ სარწმუნო წყაროებიდან ლურჯოსნებს და წითლოსნებს შორის მოხდება დიდი ბრძოლა, შესახებ მათ შორის დიდი ხნის ატეხილი დავისა წითელ კანტიანთა დაყოფაში. წითლოსნები ჩვენის აზრით გაიმარჯვებენ, ვინაიდგან ისტორიულათ, დიდი ხნის კავშირისა გამო უპირატესობა მათ ეკუთვნისთ, თან ბრძოლისთვისაც უფრო მომზადებული ყოფილან. მზადება მეორე მხრითაც დიდია.

✦ როგორც გადმოგვცეს—ესფერები ნარდათ სავაჭროს (оцтовый складъ) აღებენ ვარლამ ჭილაძის ციხე-დარბაზში. განყოფილებები ექნებათ: ყვირილაში, ხონში, ჭიათურაში, ბანძაში და სხვაგან. როგორც გავიგეთ—საჩხერის განყოფილების გლავნი ბუხგალტერათ გუცა ინიშნება (მადლობა ღმერთს დაწინაურებულა, რაზსილნოიდან ბუხგალტერობამდის ავიდა). დაწვრილებით შემდეგ №-ში.

✦ ბ. იაკობ ფანცხავას განუხილავს ქუთაისის შინაური და ფინანსიური საქმეები, რომელთა გამო, მას მავნებლათ უცვნია ქუთაისში სწავლა განათლების გავრცელება, განსაკუთრებით გიმნაზიის დაარსება.

✦ იაგორ ნიკოლაიჩი (ცნობილი მაჭანკალი) გვატყობინებს, რომ მისს ალფავიტში ერთი „პარის" ადგილი დაცლილა. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ.

✦ ჭიათურაში ხმა გავრცელდა: ბ. ისიდორე ვარაზაშვილი და ილიკო აბაშიძე ჭიათურის სადგურზე ლექციას წაიკითხვენ: „კიტა აბაშიძე და მისი უმანკოება". ლექციის კითხვა მოხდება 1916 წელს დღით კვირას, დილის ათ საათზე. ორივე ერთათ

წაიკითხავენ ,,გიორგი ლიდერის პირით, გიორგის ხმით, გიორგის აზრით და გიორგის ტვინით. ლექცია უფასო და საინტერესო იქნება.

✦ ხონიდან გვატყობინებენ: ორ ლამაზ ქალიშვილთა შორის მოკლე დროში მოხდება დუელი; გამარჯვებულს დარჩება ხონის 14 წლის მოწაფე ,,ლამაზი გოგი''

✦ ხონიდან გვატყობინებენ: ხმა გავრცელდა ხონის ქალიშვილების უმეტესობა „გაფედერალისკდნენო". (ეგეც სოციალ დემოკრატებს!).

✦ იქიდანვე: მოხდა კრება ქ, შ. წ. კ. გ. საზოგადოებისა. მოხდა ესფერებისა და ესდეკების აზრთა შეჯახება. გაიმარჯვეს ესფერებმა წყლის ნაყვაში, მაგრამ, ბოლოს ცარიელი ლაილაი გამოუვიდათ.

✦ იქიდანვე: ქალიშვილებიგვთხოვენ ცნობილ მაჭანკალის იაგორ ბარკალაიას თავს. (თვითონ იციან რისთვის). ვასრულებთ მათ თხოვნას, გავაგზავნით კვირას.

✦ როგორც გვატყობინებენ თბილისიდან, ოქროს ფეხის პოეტს თბილისში 26 იანვარს ორთაჭალის ბარაშკებში ქეიფის დროს წამოსწრებია თავისი საკუთარი ბარაშკა და უკაცრავი პასუხია ძალზე მოურეჯგვავს.

✦ იქიდანვე. 20 იანვარს მოხდება ფრიად საინტერესო ჭიდაობა ქართულ კლუბში. იჭიდავებენ ცნობილი (თბილისელი) ხატისოვი და ცნობილი ქუთაისელი—პეტრე წვერ-ქიცინა. მეორეთ, чемпіонъ міра цицико და ბ-ნი черная маска.

✦ ჭიათურიდან გვაცნობებენ-გადაუწყვეტიათ ქიათურას მოწაფეებს, რომ შკოლაში ,,შიპცებით'' დახუჭუჭებული თმით იარონ, რადგანაც ჭიათურის პროგიმნაზისტკებს მათთვის ასე დაუვალებიათ.

✦ როგორც ყვირილიდან გვატყობინენ—კოსტა ფერაძე, ყვირილის თეატრის დარბაზში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე ,,ხვარასანი და მისი მნიშვნელობა, როგორც უებარი წამალი მუცლის ტკივილის დროს.

✦ იქიდანვე: ხმა გავრცელდა: ყვირილაში იოსებ გაბუნია ამ მოკლე ხანში ლექციას წაიკითხავს შემდეგ თემაზეო: ,,დეპუტატი მიქელაძე და მისი ტალანტი''.

დაგვიანებული მილოცვები.

დავით ნიკოლაიჩ ნოტარიუსს!

ბ-ნო დავით. მომილოცნია ახალი წელი, ღმერთმა მრავალს დაგასწროთ თქვენის ცოლშვილით. შენ გენაცვალოს ჩემო დავით მთელი ვექსილები, რაც საპროტესტოთ გადმოგცენ; მართალია ხანდახან ზოგიერთი ვაჭრები გულს გაყვანინებენ, მაგრამ შენც უნდა შეხვიდე ჩემო დავით ნიკოლიჩ მათი წრუწუნის მდგომარეობაში და განხილვაში. ხანდახან, ჩემო დავით, „уступай" უყავი ხოლმე.

ივანოვის ქუჩის მცხოვრებთ.

მომილოცნია ახალი წელი. ღმერთმა მრავალს დაგასწროთ! ამასთან თქვე დალოცვილებო, სულ რომ წუწუნობდით წყალსადენი (Водопроводъ) არ გვეღირსაო, ეხლა ხომ ხომ კი მოესწარით? უკეთესი წყალსადენი რალათ გინდათ, ყოველ ოჯახის წინ ბუნებრივი აუზები გაქვთ, შიდ კალმახები სცურავენ. სომხებისთვის ბახტაკები და იშხანები (გელაქნური). ამფერუმ ივანოვის საუკეთესო ქუჩა!

მალე გახდები ქვიტირი,
ამიტომ თავზე დაგტირი.

ლილა.

დედის მილოცვა.

შვილო კოლია! მომილოცავს ახალი წელი! ღმერთმა მიცოცხლოს შენი ჭრელი თვალები. შენ გენაცვალოს შენი დედუა, მაგრამ, შვილო კოლია! რა ღმერთის წყრომაა ჩემს თავზე? შენმა ტოლებმა უკვე გაათავეს გემნაზია და შენ კი როგორც მესმის არშიყობის გიმნაზია დაგისრულებია. ვაი ჩემი ბრალი შვილო! არ მერჩია ეგრე ლამაზი არ დამბადებოდი? ყოფილიყავი უშენო, ეგებ ეგ ჩემის ცოდვით სავსე ფუშფუშა გოგოები არ აგდევნებოდენ და სწავლას არ მოგაცდენდენ. ეხლა შვილო! მითხარი! რას აპირებ? მალე წვერულვაში დაგედოშება, ბარიშნები თითო თითოთ ხელზე შამოგეცლებიან, უყარე მერე კაკალი. ფულებიც შამოგაკლდება და აგიტყდება

გულის კანკალი. მოდი შვილო გონზე, დაიწყე მზადება (ეხლა მოდაშია) ეგებ окончатели ეგზამენი ჩააბარო, თორემ შენც დაიღუპე და მეც დაღუპული ხომ ვარ და უარესათ დავიღუპები. გამიგონე! გეევედრები! შენ გენაცვალოს შენი დედუა, ნუ დაიღუპავ თავს სამუდამოდ.

შენი დედიკო.

წერილი ჯოჯოხეთიდან.

ჩემო ძვირფასო (ვარლამ)! პირველად გისურვებ კარგათ ყოფნას შენი ცოლშვილით. ამასთან ვიცი ძმაო ჩემს ამბავს იკითხავ, მე რომ ყოფაში ვარ ისე გაგიხდა მტერი და ავათ მახსენებელი. როგორც კი მაქედან გამოვემგზავრე (ან კი რა მომარბენიებდა მე უბედურს), მტაცეს ხელი და პირდაპირ ჯოჯოხეთში მაკრეევეს თავი. არ გამივიდა არც ხვეწნა, არც ბოდიში, ერც ქრთამი. ტყუილა იძახოდენ მანდ: „ქრთამი ჯოჯოხედშიდაც გავაო“, ქრთამით შეიძლება მხოლოთ წერილის გამოგზავნა, თორემ ქრთამით სამოთხეში არავის გადაიყვანებენ. ეხლა წარმოიდგინე თუ რა წვალებაში ვარ. მუდამ ბნელეთში ვარ, (ამ წერილის დაწერა ჯოჯოხეთის გლავნი უპრავლიაიუშჩმა მომცა ნება ქრთამით) ეს ოხერი ეშმაკები ჩაებმიან ფერხულში ჩამიგდებენ შუაში და გიყვარდეს ხტუნაობა, მარამ მახტუნებენ, სანამ სიქა გამერთმეორეს. ამასთან მად რომ შამპანიურს ვულურჭავდი, აქ წყალიც კი მენატრება, მანდ რომ დესერტებს ვულაპავდი აქ თვით მჭადის ნატეხებიც მენატრება, ასე წარმოიდგინე ნამცეცებიც. მანდ რომ ფულით ფუშ-ფუშა ქალებს ვპროშტნიდი, აქ ათას მანეთ ნაკლებ ეშმაკებსაც ვერ ვპროშტავ. მანდ რომ „ბარინს“ მეძახდენ, აქ ეშმაკების ლაქია ფვით მე ვარ. მანდ რომ ხალხს ვატყავებდი, აქ სამაგიეროთ ეშმაკები მე მატყავებენ; მანდ რომ ბანკების მესაიდუმლე ვიყავ, აქ ეშმაკების მესაიდუმლე ვარ. ასეა შემი უბედური თავის ამბავი. მაგრამ, კი უნდა გითხრა ჩემო ძმაო რომ ახია ყოველივე ჩემს თავზე. ►არა, მეგონა მე სულელს თავის დღეში თუ მოვკვდებოდი და ავყევი ებრაულ ძველ გადმოცემას.

„იეშ მამონი, იეშ ქაბოდ“

„ლოეშ მამონი, ლოეშ ქაბოდ“.

ქართულათ: (ფული გაქვს, პატივიც გაქვს და ჭუანიცა ხარ. უფულო ხარ არც პატივი გაქვს და არც ქკუა). მე მეგონა ფულით აქაც პატივი მექნე ბოდა, ჭკუიანს დამიძახებდენ, მაგრამ ხომ უყურებ მოტყუებული ვყოფილვარ. ასთე ძმაო ეცადე როგორმე შენც ჩემს დღეში არ ჩავარდე: დაანებე 30% ადებას თავი, ნუ გშურს სხვისთვის ლუკმა პურის ჭამა და ეცადე რაც ძველი ცოდვები გაქვს მოინანიო. მე გირჩევ ჩემო კარგო მეგრბარო, ასე მოიქცე. ან შენ იცი. მომიკითხე დიდის სიყვარულით ჩემი მეგობრები, მაგათაც მალე ველი. ელოდეთ კიდევ დაწვრილებით წერილს.

თქვენი ძმა **ბურჟუა.**

ბორჯომიდან „მადამის“ წერილი სტუდენტ შალვასადმი.

ბ-ნო მკითხველო! ქვემო აღნიშნული წერილის შინაარსი სინამდვილეა, ფაქტია. მხოლოთ მადამის სახელსა და გვარს ვერ გავამხელთ და ვინც უნდა გვთხოვოს მისი გამოაშკარავება, უყურადღებოთ დავსტოვებთ; ჩვენ ამ წერილს იმიტომ ვათავსებთ, იცოდენ ქალებმა რომ, მამაკაცები ყველანი სანდო არ არიან. უმრავლესობას კიდეც ექებათ და „მადამებისაგან“ სიყვარულის წერილებს ქუჩა-ქუჩა საჩვენებლათ ატარებენ.

რედაქცია.

წერილის შინაარსი.

საყვარელო და მუდამ წუთს ტკბილათ მოსაგონარო ჩემო შალვა! ჩემო ხელით საგოგმანო მარგალიტო, ჩემო სიცოცხლევ, როგორ ხარ? მე უშენოთ ვეღარა ვძლებ ღამე ძილი აღარა მაქვს და თუ წუთით მიმეძინა მაშინაც კი სიზმარში შენ მეზმანები. გავიღვიძებ თუ არა და სარეცელზე წამოწოლილს თვალ წინ მიდგახარ, გამოვსწევ ხელებს რომ მოგეხვიო და მაგ მშვენიერი ტუჩები დაგიკოცნო და რასა ვხედავ!! ხელები აკანკალებული და ტუჩები ათრთოლებული ცარიელი მირჩება. აი ამ წვალებაშიდა ვარ შენ ჩემო შავ ულვაშო ბიჭო. შენ გენაცვალე, შენ შამოგვევლე ჩემო შალოჩკა, ეგებ ფული არა გაქვს ჩამოხვიდე ბორჯომში, ამისთვის გიგზავნი სამგზავრო ხუთ მანათს. აქ ჩამოსასვლელათ გეყოფა და რომ ჩამოხვალ შენ დაგენაცვლოს ჩემი ქმრის გამოგზავნილი ფულებიც და მეც. მეტს გამოგიგზავნიდი გენაცვალე ფულებს მაგრამ, ты голубчикъ мой Шалочка, въ Кутаисъ

3 177
1913

будешь шалеть. Ты меня не оцѣниваешь, а ты не знаешь*) როგორ მიყვარხარ. პირდაპირ „მეხაუზმითა“ ვარ გაჟღენთილი.

ხო! მართლა დამავიწყდა, მე მუცელი კიდევ მოვიშალე „მისი“ დარდი ნუ გაქვს „ალხეინად“ იყავი. იმედი მაქვს ჩემო მშვენიერო მალე ჩამოხვალ, შენს მაგიერ ვკოცნი შენს სურათს ამ წუთში. გაკოცებ ათასს მაგ მშვენიერ შავ თვალებში.

შენი ნახვის მოტრფიალე

მადამ?

„ახალი მოდის მოწაფეები.“

ამ მეოცდა ერთე საუკუნეში, სულ აირია ქვეყანა. ვერ გაგიგია ადამიანს, ვინ არის მოწაფე და ვინ არა. დღეს ყველას მოწაფის ქუდი ახურავს თავზე: პოეტი გინდა, ბულვარისტი გინდა, ვაჭარი გინდა და სხვა და სხვა... და ამათ ვისაც კი უნდა კითხო მაშინვე გეტყვის „готовлюсь на оттестат зрѣѣѣлости“. მაგრამ მკითხველო ძაღლის თავი სადაა დამარხული იცით? —თუ მოწაფის ქუდი გხურავს, ბარიშნებიც გელაილავებიან; თუ არა და იოხ გეთაყვა!! ეს ბატონო მკითხველო მეცნიერულათ ვიცი დამერწმუნეთ, თორემ აი მაგალითად ერთი ნამოწაფარი თვრამეტი წელი, თვრამეტი დღე, თვრამეტი საათი, თვრამეტი წამი, თვრამეტი წუთი ემზადა და დღესაც, როგორც გავიგე, კიდევ განაგრძობს მზადებას. ეს ოხერი მეცნიერული ცნობა—გამოკვლევაა ამა რა ჯანდაბჯარხანაა.

ლილა.

Пупок-ამის ინცინდენტი.

უნდა გავიმეორო, ამ დალოდვილ მეოცდა ერთე საუკუნეში ისე განვითარდა, გაკულტურდა ხალხი რომ დიდი და პატარა კლუბებში ერთობიან და განცხრომაში არიან. ამათ წამხედვარეს ძველ მგოსანს დათიკო Пупок -აძეს საშინელი საქმე დაემართა. იმ წყეულ ნესტორას წაყვა ქუთ. საკრებულო დარბაზში სადარბაზოთ და როდესაც უზუნდარას თამაშს მორჩა დაქანცოლობის გამო წყალი მოწყურდა, სირცხვილით ველარავის ჰკითხა, თუ სად შეიძლებოდა წყლის დალევა და ამოჰყო თავი იმისთანა ოთახში, რომ სუნმა კინაღამ მოახრჩო და ისეთ დაიბნა წარმოიდგინეთ კარებსაც ველარ მიაგნო, რომ გამოსულიყო სუნნელოვან ოთახიდან. მისდა იღბლათ „კაპელმეისტერი“ შემთხვევით შევიდა ამ ოთახში და როდესაც გამობრუნდა გამოჰყვა Купок—აძეც. კაპელმეისტერი თავის მუზიკანტებთან მიდიოდა, მას კვალ და კვალ მიყობოდა გზა-კვალ აბნეული დათიკო Пупок—აძეც. კაპელმეისტერს შეეშინდა ვიღაც მომდევსო და კანკალით დაეკითხა: „Куда лѣзешь“-ო. დათიკო მეტი ველარ მოახერხა და მიაძახა: „Я частный музикантъ“-ო. Ну тебѣ къ черту“-ო შეუტია კაპელმეისტერმა და თან ერთი წიხლიც მიაყოლა ჩვენს მგოსანს გვერდებში და შეშინებული ავარდა მუზიკანტებთან. როგორც იყო, დიდის ვაი-ვაგლახით მოაგნო მგოსანმა საერთო დარბაზს, ნახა წვეული ნესტორიც და შესჩივლა თავის თავგადასავალი. ნესტორმა დაამშვიდა და წავიდნენ სავახშმოთ. თურმე ნუ იტყვით! ჩვენს მგოსანს დანაჩანგლის ხმარებაც არა სკოდნია. წამ და უწუმ ხელიდან უვარდებოდა. წყეული ნესტორიც ჭკუას ასწავლიდა: შენ თუ აიღებ სირცხვილია, „ოფიციანტი“ აიღებს დაახალს მოგიტანსო.“ ბოლოს ოფიციანტს რომ მოსწყინდა იატაკიდან დანა-ჩანგლების აბოჭვა,— დაეკითხა: „ჩვენო მგოსანო,ამ ბოლოს დროს ნამეტანი „ვოტკის“ ყლურჭვისგან ხელების ძაგძაგი ხომ არ აგტეხიაო?“ დათიკომაც მიუგო: „ღიახ! დიახ! დიახო! და აი ასეთის ვაივაგლახით გამოვიდა და წავიდა თავის საწოლ „კაბინეთში“ და როგორც გავიგე, თურმე ნუ იტყვი მთელი ღამე „კაპელმეისტრები“ ელანდებოდა და საწყალს შიშის გამო გულის კანკალი ასტეხია მკითხველო, უსურვოთ ჩვენს ძველი მგოსან დათიკო Пупок—აძეს გამობრუნება.

ლილა.

*) დახეთ რა რუსულია!

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ ქავუარაძე.**

სტამბა „ძმობა“, კაზაკოვის ქუჩა, სახლი № 17.